საქართველოს კანონი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხ. 361) დაემატოს შემდეგი შინაარსის 45^2 მუხლი:

„მუხლი 45^2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში გარემოსდაცვითი პროგრამა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის ფინანსდება არანაკლებ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ბიუჯეტში გასულ საბიუჯეტო წელს შემოსული სახსრების ოდენობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

2 მარტი 2021 წ.

N247-IVმს-Xმ3